ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5400291

ნომერი: AR1824310

თარიღი : 29.04.2021

გაცემის თარიღი : 13.05.2021

გაცნობის თარიღი : 13.05.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ. , (ნაკვეთი 13/418);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი თავდიშვილი პ/ნ 61001002615
- დიღომი

ორგანიზაცია:

- შპს ევროპროდუქტი კოდი: 202227134

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კერძო მიწის ნაკვეთზე წყალსარინი არხისა და დრენაჟის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- მოთხოვნის ტექსტი: დაზუსტდეს და მოთხოვნა დაყენებულ იქნას ერთ კონკრეტულ საკითხზე (წყალსადენზე ან წყალარინებაზე), აღნიშნულის შესაბამისად ინტერაქტიულ რუკაზე განსაზღვრულ იქნას საპროექტო ნაგებობის შესაბამისი ტრაექტორია და პროექტიც წარმოდგენილი იქნას ერთ კონკრეტულ ნაგებობაზე (პასუხისმგებელი პირების მიერ დამოწმებული/ხელმოწერილი სახით);
- წარმოდგენილი იქნას ხაზობრივი ნაგებობის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ან ინფორმაცია (საკადასტრო კოდი)), რომლის რეკონსტრუქციაც ან/და დაერთება მოთხოვნილია წინამდებარე განცხადებით;
- არსებული სიტუაციის ფოტოსურათები: წარმოდგენილი იქნას ფოტოგადაღების თარიღის მითითებით, დღეს არსებული მდგომარეობის ასახვით;
- წერილობით გაცემული - შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა იმ მესაკუთრეების, რომელთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზეც არის დაგეგმილი პირველი კლასით გათვალისწინებული სამუშაოს განხორციელება, მათ შორის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა სამუშაოების წარმოებაზე (შესაბამისი დანართით);
- იმ ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრ(ეებ)ის მიერ გაცემული თანხმობა/შეთანხმებული სქემა, რომელთა საკუთრებაში არსებულ ხაზობრივ ნაგებობებსაც კვეთავს ან/და საპროექტო ტერიტორიის არეალშია მოქცეული;

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 10 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge